განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

27/01/2026

MES 8 26 0000072899

ბრძანება

თბილისი

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს 2026 წლის საგრანტო კონკურსის - „საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში“ დებულებისა და საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს №411 დადგენილების 2^2 მუხლის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანებისა და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 22 იანვრის № 49321 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს:

ა) სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს 2026 წლის საგრანტო კონკურსის - „საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში“ დებულება, ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს 2026 წლის საგრანტო კონკურსის - „საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში“ საკონკურსო კომისიის მიერ კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები, ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გივი მიქანაძე